# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 6

„20" იანვარი 2017 წ

ქ. თბილისი

„N01.16.05.013.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე იჯარის უფლების შეწყვეტის შესახებ და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N46-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 13/035) არსებული 741 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.035) შპს „რიჩემასთვის" (ს/კ: 204552545) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის N30.79.1579 დადგენილების დანართით გათვალისწინებული საიჯარო პირობების 2.1 და 2.2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „რიჩემას" (ს/კ 204552545) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „№01.16.05.013.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე იჯარის უფლების შეწყვეტის შესახებ და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №46-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 13/035) არსებული 741 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №01.16.05.013.035) შპს „რიჩემასთვის" (ს/კ: 204552545) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №30.79.1579 დადგენილების დანართით გათვალისწინებული საიჯარო პირობების 2.1 და 2.2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „რიჩემას" (ს/კ 204552545) გათავისუფლების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 4 იანვრის №01.09.09 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირი №46-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.013.035) ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, „№01.16.05.013.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე იჯარის უფლების შეწყვეტის შესახებ და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №46-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 13/035) არსებული 741 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.013.035) შპს „რიჩემასთვის" (ს/კ: 204552545) პირდაპირი განკარგვის წესით,

აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №30.79.1579 დადგენილების დანართით განსაზღვრული საიჯარო პირობების 2.1 და 2.2 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „რიჩემას“ (ს/ნ 204552545) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი